№ 209
ხუთშაბათი, 9 ოქტომბერი, 1897 წ.

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1897

# ივერია

№ 209
ხუთშაბათი, 9 ოქტომბერი, 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

პირველ ოქტომბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია“ ჰღირს 3 მან. 50 კაპ.

ქართველ-ქალთა
## ამხანაგობის
## სახელოსნო-სამკერვალო

ძველის ბინიდგან ახალში გადავიდა, ბარიატინსკის ქ., ფედოროვის სახლი, № 10, „ნოვოე ობოზრენიეს“ რედაქციისა და მთავარ-მართებლის თანაშემწის სახლის შუა.

მსურველთ აქვე შეუძლიანთ განაცხადონ სურვილი იმისი, რომ პატარა ქალები მიაბარონ მოსწავლეებად;

9 ოქტომბრიდგან დაარსებული იქმნება სახელოსნოსთან ჭრა-კერვის კურსები მოზრდილ მოწაფეთათვის.

აქვე იღებენ შესაკერად ყოველგვარს ქალის ტანთ-საცმელს. (5—უ.—5)

მთავრობის განკარგულებანი

### სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ნორმალური წესდება

(შემდეგი *)

ამხანაობის საქმეთა მმართველ-გამგეობა.

§ 28. ამხანაგობის საქმეთ განაგებენ: ა) ამხანაგობის წევრთა საზოგადო კრება, ბ) გამგეობა და გ) სარევიზიო კომისია. გამგეობის წევრთ, აგრეთვე სარევიზიო კომისიის წევრთ ამხანაგობის წევრთაგან ირჩევს საზოგადო კრება, რომელიც ამასთანავე აწესებს ამ თანამდებობათა რიცხვს. ამხანაგობის წევრთაგან არავის არ შეუძლიან ამხანაგობის საქმეთა მმართველობაში ერთს თანამდებობაზედ მეტი იკისროს.

შენიშვნა. როგორც გამგეობა, აგრეთვე სარევიზიო კომისია უნდა შესდგებოდეს თითოეული არა ნაკლებ სამის კაცისაგან.

*) იხ. „ივერია“ № 208.

ა) საზოგადო კრებანი.

§ 29. საზოგადო კრება ორ გვარია: ჩვეულებრივი და საგანგებო.

§ 30. ჩვეულებრივი კრება უნდა იყოს წელიწადში ერთხელ სამოქმედო წლის დამთავრების არა უგვიანეს თვისა. საზოგადო კრება განიხილავს და ამტკიცებს წარსულის წლის ანგარიშს და ბალანსს, მომავალის წლის ხარჯთ-აღრიცხვას და მოქმედების გეგმას, გამგეობისა და სარევიზიო კომისიის მოხსენებათ, ამხანაგობის წევრთა განცხადებებს და სხვა მიმდინარე საქმეებს. აგრეთვე ირჩევს გამგეობისა და სარევიზიო კომისიის წევრებს და იმათს კანდიდატებს.

შენიშვნა. პირველი საზოგადო კრება მოწვეულ იქმნება დამაარსებელთაგან ამხანაგობის წესდების დამტკიცების შემდეგ, ხოლო შემდეგ საზოგადო კრებას იწვევს გამგეობა.

§ 31. გამგეობის წევრნი და მათნი კანდიდატნი ამორჩეულ იქმნებიან... წლის ვადით. პირველ ხანს ყოველ წელიწადს თავს ანებებს თითო წევრი გამგეობისა წილის ყრით, რომ გამგეთა შორის ცვლილების საქმეში თანდა-თანობა იყოს დაცული, ხოლო, შემდეგ, როდესაც ეს თან და თანობა დაცული იქმნება, სამსახურს წევრი თავს ანებებს იმ ვადის გასვლის შემდეგ, რა ვადითაც არჩეულია. გამგეობის წევრად ნამყოფი შეიძლება არჩეულ იქმნას ხელ-ახლად. სარევიზიო კომისიის წევრნი ერთის წლით ადრე უნდა იქმნენ ამორჩეულნი.

§ 32. საგანგებო კრება შეიძლება მოწვეულ იქმნას, თუ საჩქარო რამ საქმე აღმოაჩნდა ამხანაგობას, გამგეობის ან სარევიზო კომისიის მიერ და აგრეთვე მაშინ, თუ ამხანაგობის წევრთა საერთო-რიცხვის ერთ მეხუთედ ნაწილზედ არა ნაკლები მოითხოვს ამას.

§ 33. ადგილი და დრო საზოგადო კრებისა, აგრეთვე კრების მიერ განსახილველი საგნები წევრებს უნდა ეცნობოს განსაკუთრებულის უწყებებით და კრების დაწყებამდე ოთხის კვირით ადრე გაზეთებში გამოცხადდეს ეს ამბავი, კრების მოწვევა ადრევე უნდა შეატყობინონ ადგილობრივ პოლიციის მთავრობას. ამასთანავე საზოგადო კრებაზედ განხილულ უნდა იქმნენ მხოლოდ ის საგნები, რომელთა შესახებ პოლიციას ნაუწყები აქვს.

§ 34. საზოგადო კრება შემდგარად ჩაითვლება, თუ დაესწრო მას ამხანაგობის ყველა წევრთა 1/3 მაინც. ხოლო თუ განსახილველი აქვს კრებას საგნები: წესდების შეცვლისა, უძრავის საკუთრების შეძენისა ან გასყიდვისა, საწევრო ფულის რაოდენობის დაკლებისა, ამხანაგობის გაუქმების და რომელსამე წევრის გამორიცხვის, აგრეთვე იმავე წევრის უკანვე მიღების გამო, მაშინ აუცილებლად საჭიროა, რომ საზოგადო კრებას დაესწროს ამხანაგობის წევრთა 2/3-ზედ არა ნაკლები.

§ 35. თუ ზემო §-ში დასახელებული რიცხვი წევრთა არ გამოცხადდა და ამის გამო საზოგადო კრება არ შესდგა, იგი ხელ მეორედ უნდა იქმნას მოწვეული არ-შემდგარის კრების ერთის თვის შემდეგ და ეს ხელ-მეორედ მოწვეული კრება კანონიერად იქმნება ჩათვლილი, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, რაიცა მოხსენებული უნდა იყოს დადგენილის წესის თანახმად, ამ მეორე კრების შესახებს განცხადებაში. მეორე კრებაზედ მხოლოდ ის საგნები უნდა იქმნას განხილული, რომელიც პირველს კრებას უნდა განეხილა.

§ 36. საქმენი საზოგადო კრებაზედ გადასწყდება უბრალო ხმის უმეტესობით, ხოლო თუ კენჭობისას თუ ხმათა თანასწორად რიცხვი თანაბრად გაიყო და გაიწონა, თავმჯდომარის ხმა ჭარბს სასწორსა. ეს წესი არ მიიღება მხოლოდ მე-34 §-ში დასახელებულის საგნების განხილვის დროს და აგრეთვე მაშინ, როდესაც სათადარიგო თანხის მოხმარების შესახებ იქმნება ლაპარაკი, რომელთა გადასაწყვეტადაც საჭიროა უმეტესობა 2/3 კრებაზედ დამსწრე ხმის პატრონთა.

§ 37 საზოგადო კრების მიერ მოწონებული სავარაუდო ცვლილებანი და დამატებანი ეგზავნება დასამტკიცებლად მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს იმ მიზეზთა და მოსაზრებათა ახსნა-განმარტებითურთ, რომელთაც წესდების ასეთი ცვლილება ან დამატება გამოიწვიეს.

§ 38. განსახილველი საქმეები, ისე ვერ წარედგინება საზოგადო კრებას, თუ არ გამგეობის ხელით. ამიტომ ამხანაგობის იმ წევრმა, რომელსაც სურს რომელიმე წინადადება წარუდგინოს საზოგადო კრებას, ჯერ გამგეობას უნდა მიჰმართოს და საზოგადო კრების დაწყებამდე ხუთის კვირით ადრე წარუდგინოს მას თავისი წინადადება.

§ 39. არჩევნები საზოგადო კრებაზედ, ამხანაგობის რომელსამე წევრის გამორიცხვა და გამორიცხულთა უკანვე მიღება, სამსახურის კაცთა ჯამაგირების საზღაურებისა და შემწეობათა დანიშვნა უნდა მოხდეს დახურულის კენჭის ყრით. ამას გარდა, დაფარულის კენჭის ყრითვე უნდა გადასწყდეს ყოველი საქმე, თუ ასე გადაწყვეტა მისი მოინდომა დამსწრე წევრთა 1/5 ნაწილმა მაინც. დანარჩენს შემთხვევაში ხმის მოკრება საზოგადო კრებაზედ შეიძლება ცხადად, დაუფარავად.

(შემდეგი იქნება)

## ახალი ამბავი

* * * მისის უდიდებულესობის კარის ეგერმეისტერი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი დამტკიცებულ იქმნა ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლად.

* * * შაბათს, 11 ოქტომბერს, ქალაქის გამგეობაში დანიშნულია საფინანსო კომისიის კრება, რომელმაც უნდა საბოლოოდ განიხილოს ტფილისის თვით-მმართველობის მოხელე-მოსამსახურეთა საპენსიო კასსის წესდება. ეს წესდება უეჭველად უნდა იქმნას განხილული, რადგანაც გამგეობას განზრახვა აქვს 13 ოქტომბრის საბჭოს კრებას წარუდგინოს იგი.

* * * ხმოსანი ა. ს. ბაბოვი დიდი ხანია მასალასა ჰკრებს იმის შესახებ, თუ ავლაბარსა და ამის ახლო-მახლო უბნების მკვიდრნი რამდენად ჰსაჭიროებენ გიმნაზიასა და სასწავლებლეს. ამ ჟამად, ხმოსანს საჭირო მასალა უკვე შეუკრებია და პარასკევს, 10 ოქტომბერს, მოხსე-

## ფელეტონი

კრებაზედ

ესკიზი

(ვუძღვნი არჩილ ხვედელიანის ხსოვნას)

I

— მართლა, დღეს ხომ კრებაზედ ვარ მიწვეული, კინაღამ არ დამავიწყდა? გაკვირვებით წამოიძახა ერთ საღამოს ტასო დიდგულაძემ და პაწია ოქროს საათი ხელში შეათამაშა.

— რაო? კრება? რით ვერ მორჩით მაგ კრებებს... ნეტა არ მიედმოედებოდეთ, ის გირჩევნიათ! კრება... კრება... ყურები-კი წაიღეთ და! ცოტა არ იყოს წყენით შენიშნა დედამ ტასოს, როდესაც ტასო აღარ იშლიდა და მოსართავ-მოსაკაზმავად შკაფიდგან ტანისამოსის გადმოლაგება დაიწყო. ჯერ გადმოიღო შლიაპა, მერე ახლად შეკერილი კაბა, შემდეგ ფეხთ-საცმლები და დაფიქრდა, თითქოს კიდევ რაღაცას ეძებსო. ბოლოს ერთი შეფრთხიალდა, მოხდენით დაიხარა და შკაფის ქვედა უჯრიდგან კარსეტი ამოიტაცა. დედა ალტაცებით შეჰყურებდა თავისის ერთად-ერთის ქალის ფუსფუსს და თან იღიმებოდა.

რა ახარებდა ტასოს დედას? გადაწყვეტით ვერას გეტყვით. იქნება, დღეს დაბერებული და ნეკრესის ქარებით დახუთული თინათინი, იგონებდა თავისს სიყმაწვილეს, ან თავი მოსწონდა, რომ ტასოსთანა ლამაზი და მოხდენილი გოგონა ჰყავდა? ვინ იცის? ჩვენთვის ისიც საკმარისია ვიცოდეთ, რომ ტასოს დედა მეტად გულკეთილი ადამიანი იყო და არც ჩვეულებადა ჰქონდა ტასოს სურვილისათვის რაიმე წინააღმდეგობა გაეწია, პირიქით სცდილობდა კიდეც ტასო საზოგადოებაში გარეულიყო: „ყმაწვილია, გავიდეს, გამოვიდეს ხალხში, ქვეყანა ნახოს, ქვეყანამ ეგ გაიცნოს და ერთიც იქნება, რიგიანი პატრონი გაუჩნდებაო“.

ტასომაც ძალიან კარგად იცოდა თინათინის ხასიათი და ამიტომ ყურადღება არ მიაქცია დედის პირველ საყვედურს.

— აღარ იშლი, ქალო, უნდა უთუოდ წახვიდე? შეეკითხა დედა ტასოს, როდესაც ხელ-პირ დაბანილი, აწეწილი, თურაშაულ ვაშლსავით გაღაჟღაჟებული ტასო პირსახოცით ხელში დედის წინ გამოინასკვა და ქუსლებზედ პროწიალი დაიწყო.

— მაშ აბა რა ვქნა, დედი, სიტყვა მივეცი-და!.. ისეთის კილოთი უთხრა ტასომ, თითქოს ეუბნება,— შენც ხომ არ მიშლი ხალხში გასვლას და აბა, ტყვილად რას მელაპარაკებიო—მერე გაიღიმა და დაუმატა: რომ იცოდე, თინათინ, როგორის ნდობით მეკიდებიან ჩვენის კრების წევრები... ერთი უკეთესი ქართველ ქალთაგანიაო, აი!

— არავის უთხრან! აბა მაშ შენზედ უკეთესი ლამაზი მეორე მაჩვენონ? ალტაცებით გააწყვეტინა დედამ.

— მაგ მხრით კი არა დედა, ვარდივით აენთო ტასო, ისე მეორეს მხრით... კარგი ქართველიაო... ხომ იცი რაც არის ქართველი, ქართველობა.

— ქართველი ხარ, მაშ თათარი ხომ არ იქნები? კიდევ ჩაურთო თავის სიტყვა დედამა.

— ეჰ, მაინც ვერ მიმიხვდი, დედილო, სიცილით შენიშნა ტასომ, არ იცი რა ვქნა, ვის ეძახიან ქართველს?

— რა დამემართა, ქალო, რომ არ ვიცოდე? ქართველი, შვილო, ქართველია, რუსი რუსია, ლეკი ლეკია. მაგას რა დიდი მიხვედრა უნდა?! გაიკვირვა თინათინმა.

— შენი ნება იყოს, დედილო! ძველ ადამიანს აბა რაღა უნდა გაგაგებინო, რა აზრითაც მიწოდებენ ქართველად... შენ ხომ არც სიტყვა პატრიოტკა გესმის?..

— მაიცა, მაიცა, შვილო, ყელსახვევი გვერდზედ მოგქცევია, უცბათ გააწყვეტინა საგულისხმიერო ლაპარაკი დედამ და ყელ-სახვევს სწორება დაუწყო. ეტყობოდა შვილის ლაპარაკის დროს იმის მორთვა მოკაზმვას უფრო დიდს ყურადღებას აქცევდა.

ტასომ ხელები ჩამოუშვა და დედის გემოვნებას მიენდო. ვეებერთელა კედლის სარკეში აჭრელებულის თაიგულივით გამოქანდაკთა ლამაზი ტასო... დედა ტასოს ცქერით ვერა ძღებოდა, ტასო თავისს სახეს სარკეში თვალს არ აშორებდა და ლაპარაკი ძალა-უნებურათ შესწყვიტეს.

ამ ყოფა-მდგომარეობაში დრო გადიოდა და კოხტაიას სახლში, №-ქუჩაზედ, წევრები ნელ-ნელა იკრიბებოდნენ. ამ ჟამად-კი, როდესაც ტასო და თინათინი მასლაათობდნენ, კოხტაიასას ბევრი არავინ იყო. კედლებს წინ არიგებულ ჩამორიგებული ვენის ყვითელი სკამები სულ-გარინდულნი უცდიდნენ წევრების შეკრებასა, რომელთა რიცხვში ბევრი ქალებიც ერია; ბუხრის თავზე დადგმული გამაღვიძებელი საათი განუწყვეტლივ და ერთხმაზე წიკწიკებდა... აივანზე ორი თუ სამი წყვილი ქალვაჟი დასეირნობდა. თვით ოთახში მოსჩანდა სამი ადამიანი: კვირიკე ამაყიშვილი, ბესო ცერცვაძე და ამ საღამოს მასპინძელი გასათხოვარი მარ-

ნება შეაქვს ქალაქის გამგეობაში, რომ ყოვლად საჭიროა ავლაბარში ვაჟთა პროგიმნაზია იქმნას დაარსებული ისე, რომ შემდეგ იგი გიმნაზიად გარდაკეთდესო.

*** ტფილისში ოსმალეთიდგან გარდმოხვეწილ 300 სომეხთათვის ქალაქის გამგეობამ დაიქირავა ავლაბარში ნარიმანოვის სახლები და გუშინ, 8 ოქტომბერს, ქალაქის ინჟენერს კუზანოვს დაავალა, რომ ამ სახლში ამოაწმენდინე ყველა ჯირგინები, ეზო-კარმიდამო და თვით სადგომი გაასუფთავებინეთ, ყოველმხრივ ჰიგიენურად მოაწყეთ იგი, რომ ცხოვრება შეეძლოთ გარდმოხვეწილს სომხებსაო.

*** ბეითალმა შეინ-ფოგელმა აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ საქონლის ჭირი ქალაქში თითქმის სრულიად მოისპოვო.

*** უფროსმა სამეურნეო-სავაჭრო ზედამხედველმა ალ. ჯაბადარმა წინადადება წარუდგინა ქალაქის გამგეობას, რომ ბაზარი და სასწორი გადატანილ იქმნას იარმუკიდგან სომეხთა სამღვდელოების მამულში, რომელიც მუხრანის ქუჩაზედ იმყოფება. ეს ადგილი მდებარეობით, სიდიდითა და სანიტარულის ვითარებით დიდად გამოსადეგია ბაზრისათვის, მით უმეტეს, რომ სამღვდელოება უსასყიდლოდ უთმობს ქალაქს ამ ადგილსაო.

*** ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზედ განიხილა ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმე. ამავე კრებაზედ განხილულ იქმნა კავკავის საბჭოს შუამდგომლობა იქ განზრახულის პოლიტეხნიკუმისათვის შეწეობის აღმოჩენის შესახებ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: 1) შეწყნარებულ არ იქმნას კავკავის საბჭოს შუამდგომლობა, 2) არჩეულ იქმნას ცალკე კომისია, რომელიც ვალდებული იქმნება წარუდგინოს საბჭოს ამ ახლო მომავალში თავისი აზრი იმ კომიტეტის დაარსების შესახებ, რომელმაც უნდა შეკრიბოს შემოწირულებანი და შეიმუშავოს საქმე ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსებისა. ამ მოხსენებას საბჭო მომავალს კრებაზედ განიხილავს.

*** შეერთებულმა კრებამ გამგეობისამ და ხმოსან-ტეხნიკოსებისამ 5 ოქტომბერს დაადგინა, რადგანაც ავჭალის წყალი, რომელიც დღეში მხოლოდ 600,000 ვედროს იძლევა და ეს კი ქალაქს არა ჰყოფნის, ავჭალის მახლობლად სხვა ადგილებიც იქმნას გამოკვლეულიო.

*** ტფილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგე ბ-ნი ბეკი სიღნაღის მაზრიდგან ტფილისს დაბრუნდა.

*** ტფილისის სიონის ტაძართან დაარსებულმა საეკკლესიო საარქეოლოგო მუზეუმის კომიტეტმა დაადგინა და ეს დადგენილება საქართველოს ექსარხოსის მიერ უკვე დამტკიცებულ იქმნა, რომ მუზეუმის წევრთა რიცხვი მიემატოს და წევრებადვე მიწვეულ იქმნენ: ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლები ა. ნატროშვილი და ა. გძელიშვილი, ტფილისის სიონის ტაძრის კანდელაკი, ა. თოთიბაძე და ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის მასწავლებლები ნ. მთვარელიშვილი და ა. ქუთათელაძე.

ამის გარდა კომიტეტმა დაადგინა: 1) მუზეუმი ღია იყოს მსურველთათვის კვირაში ორჯელ ოთხშაბათობით, ნაშუადღევის 3 საათიდგან 5-მდე, და კვირაობით, ნაშუადღევის 12 საათიდგან 2-მდე. შესვლის ფასი ეღირება 20 კაპ. 2) რაც შეიძლება ჩქარა შეადაროს და განიხილოს წინანდელ გამგეს ბ-ნ თ. ჟორდანიას მიერ შედგენილი კატალოგი მუზეუმის ხელთნაწერებისა და სიძველეთა და რაც შეიძლება ჩქარა დაჰბეჭდოს. ეს შრომა კომიტეტის განაწილებით ყველა წევრთ უნდა იკისრონ.

*** 7 ოქტომბერს მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებული კავკასიაში ი. ს. მედვედევი ჩაქვაში წავიდა. იქაურის ჩაის პლანტაციების დასათვალიერებლად და საერთოდ იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად შესაძლებელი იქმნება ამ მცენარის სხვა ადგილებშიაც გავრცელება.

*** გაზ. „კავკაზს“ ატყობინებენ შემდეგს ამბავს პატიმარის ზაქარია ჩიბირაშვილის გაქცევის შესახებ. როდესაც ზაქარია ჩიბირაშვილი, რომელიც დაპატიმრებულ იქმნა ქურდობისა გამო, ჩაფარ ნიკოლოზ ლომიძეს ხაშურიდგან გორის საპატიმროში მიჰყავდა, გზაზედ იგი ურიებმა მიიწვიეს არყის დასალევად. ლომიძე დასთანხმდა და ურიებთან წავიდა, ხოლო პატიმარი უყურადღებოდ დასტოვა. თავის ნებაზედ დარჩენილს ავაზაკს ლოდინი მოსწყენია, ამდგარა და წასულა.

*** გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ს ატყობინებენ განჯიდგან, რომ ჯევანშირის მაზრის უფროსი მირზა-ბეგ რაფიბეგოვი დათხოვნილ იქმნა თანამდებობიდგანაო.

*** ახალ-სენაკი. ამ ბოლოს დროს პატარა და წვრილმან ქურდობას მიჰყვეს ხელი ჩვენმა „ჯგირი კოჩებმა“-ღამის რაინდებმა. აქამდის თუ ღამე ქურდობდნენ, ეხლა შუა დღისითაც არ ერიდებათ. ამ ათის დღის წინად ერთი აქაური მცხოვრები ქვრივი ქალი გაექურდათ დღისით. წაეღოთ საწყალის ტანთ-საცმელი და სხვა, რაც ხელთ მოხვედროდათ. გარდა ამისა, იპარავენ შინაურს ფრინველებსა, ქათამ-ინდაურსა, იხვსა და ბატსა და თუ სადმე კარგი მსუქანი გოჭები ეგულებათ, საქათმეში ისე ადვილად შედიან, თითქოს თავის სახლში იყვნენ.

მეპურეებმა პური გაგვიძვირეს და ისე ჰყიდიან, როგორც იმათი სურვილი და ქეიფია. თუმცაღა ნიხრი აქვთ დადგენილი, მაგრამ, ნიხრის მიუხედავად, მაინც ჰყიდიან მომეტებულ ფასად. მეტს ფასს ვინ დაეძებს, ოღონდ პური მაინც იყოს რიგიანად გამომცხვარი. გვიკვირს, ღმერთმანი, რას აკეთებს აქაური პოლიცია, რომელსაც ჯამაგირს ქალაქი აძლევს, ნუ თუ იმისი მოვალეობა არ არის სურსათ-სანოვაგეს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს?..

*** სოფ. კახი. ჩვენკენ დიდი ნაკლებობაა ქართულის წიგნებისა. ჩვენნი გამომცემელნი მცირე ყურადღებას აქცევენ ამ საქართველოს განაპირა კუთხეს. სადაც ერთი მუჭა ქართველობამ გმირულად დაიცვა თვისი ეროვნება და ენა გარემო სეულთა ულმობელ მტერთაგან. ქართველობას და იმათს ენას აქ დღესაც წინ უდევს ეკლიანი გზა. ამიტომ საჭიროა, ყოველმა შეგნებულმა ქართველმა მიჰბაძოს ჩვენს პატივცემულს ი. ს. გოგებაშვილს, რომელმაც ამ ზაფხულს გამოუგზავნა მ. ჯანაშვილს 30 ცალი თავისის წიგნაკისა—„ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“ ხალხისათვის დასარიგებლად უსასყიდლოდ. ვინც-კი ეს წიგნი წაიკითხა და ან წაკითხული მოისმინა, აღტაცებაში მოვიდა და ნეტარხსენებულ მამულიშვილს შეუთვალა მრავალი კურთხევა და ლოცვა. წიგნები (20 ცალი) გადაეცა ქრისტიანეთა მამასახლისს იასე ოთარაშვილს ინგილოთა სოფლებში დასარიგებლად და ათი ცალიც-კი გავრცელდა კახშივე.

*** გამოვიდა და დაურიგდებათ ხელის მომწერლებს მე-X № ჟურნალ „მოამბისა“ შემდეგის შინაარსით: „დაუდეგარი“—წერილი მეგობართან. ია ეკალაძისა; „სიმღერა“—ლექსი კაკაფშაველასი; „შემდეგ რა იქმნება?“—ამბავი კოტ-მურლიკისა თარგმანი ე. მ—შვილისა; „ივდითი“—ტრაგედია ხუთ მოქმედ. ჯიაკომეტისა; „***“—ლექსი მღვიმელისა; „გლეხი-კაცის ისტორია“—ნაწილი მეორე.—ერკმან-შატრიანისა, თარგმანი ი. მაჩაკვარიანისა; „მეგრული ანდაზები“—ჩაწერილი თ. სახოკიას მიერ; „ვეფხის-ტყაოსნის“ ყალბი ადგილები—XLII და XLIII.—ალ. ს—შვილისა; „თ ნ. ზ. ჭავჭავაძის სახსოვრად“—გ. პოტტოსი; „ეპისიმიზმი ქართულ ლიტერატურაში. დ. გურამიშვილი“.—მ. ბოლქვაძისა; „ცხოვრება და ხელოვნება. ჩვენი ახალგაზდობა“—კიტა აბაშიძისა; „მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა ქუთაისის გუბერნიაში“—ნ. წერეთლისა; „ბიბლიოგრაფია“. I. ბროსსე. პროფ. ბრესე ჟ. ა. II. ქართლის ცხოვრება. დასაბამიდგან მეათცხრამეტე საუკუნემდის. წიგნი პირველი: საქართველოს დასაწყისიდან ვახტანგ გორგასლანამდე. მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა. თბილისი. 1897 წ. ფასი 40 კაპ. ი. მ—ანი. III. „ბავშვების მოკეთე“ ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებელი. შედგენილი ალ. ნათაძის მიერ. ფასი 30 კაპ.—Z საქართველოს სიძველენი.

*** ტფილისის ნაფიც ვექილთ ამ სამის დღის წინად „ორიანტის“ სასტუმროში სადილი გაუმართეს ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარედ ნამყოფს თ. ა. ბიკოვს, ტფილისის გუბერნატორად განმწესებულს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. თეკლათი** (სენაკის მაზრა), 6 ოქტომბერი. ამ ჟამად ჩვენსკენ გაცხარებული ჭირნახულის მოწევაა უანებიდგან. დიდი თუ პატარა, ყველა ითავს დასტრიალებს მთელის წლის სარჩოს. მაგრამ ბედა ის არის, რომ, როგორც მხვნელ-მთესველი მუშა ამბობს, წარსულ წლებთან შედარებით, წელს ცოტა ნაკლებ მოსავალს მოელიან ჭირნახულისას. ხვნა თესვის დროს აქეთ გამუდმებული დიდი გვალვები იდგა, ამის გამო ყანები დროზედ ვერ დაითესა და, რასაკვირველია, მოსავალსაც მცირეს მისცემდა მშრომელს. წრევანდელი მოსავალი: ღომი, სიმინდი, ლობიო და სხვა ადგილ-ადგილ დაუმწიფავია, რადგანაც ერთსა და იმავე დროს არ იქმნა დათესილი. რაც შეეხება სიმინდის მოსავალს, კიდევ მადლობა ღმერთს, თუ ჯარს-ჯამაათს არ ეუვის, თავიანთ სარჩოდ სამყოფი მაინც მოუვათ და ქსეც დიდი წყალობაა, მით უმეტეს, რომ აქაურებმა ნიადაგის გაპატივება არ იციან, ერთსა და იმავე ადგილში ყოველთვის ერთი და იგივე მოსავალი მოჰყავთ.

აქაურმა ნიადაგმა თუ უმტყუნა მხვნელ-მთესველს, ეს იმისი ბრალი არ არის, ვითომ დროზედ არ იქმნა ყანები დათესილი, არამედ იმისი, რომ ნიადაგს სინოყივრე გამოელაა. მამა-პაპისაგან სინოყივრე გამოლეულ მიწისგან აბა რა ხეირს უნდა მოელოდეს მხვნელ-მთესველი?.. საზოგადოდ წელს—ლობიო ერთობ ნაკლები მოუვიდათ და ისიც ნედლი და უხეირო. ამიტომ ლობიოს ფასი წელს ერთი ორად მეტი იქმნება. ოდესის ღვინომ ხომ ყველას თავი დაუკრა, ასე რომ იმისთანაებსაც, რომლებსაც ყოველ წლობით ას კოკაზედ მეტი მოსდიოდათ, ორი-სამი კოკა მოუვიდათ. თუმცა ვაზს მსხმოიარებით პირველში ბლომად ესხა, მაგრამ ივლისის თვის პირველ რიცხვების აღმოსავლეთის ღო-

---

თა კოხტაია. ესენიც, თითქმის ერთმანეთს ერიდებიანო, ორად გაყოფილიყვნენ. კვირიკე ამაყიშვილი და მართა კოხტაია მოსჯდომოდნენ თავმჯდომარისათვის მომზადებულ მაგიდას და ერთმანეთს ხმა დაბლა რაღაცას ელაპარაკებოდნენ, ბესო ცერცვაძე-კი ბუხართან ატუზულიყო და, ისე იბღვირებოდა, თითქოს ვისამე ჯავრი სჭირსო... დრო გადიოდა, ბუხრის თავზედ დადგმული საათი რვას უჩვენებდა, მაგრამ იქ მყოფთ ჯერ-ჯერობით არავინ ემატებოდა...

— ბძანეთ, ბძანეთ, უკაცრავად, რომ სიტყვა გაგაწყვეტინეთ,—ბოლოში მოიხადა მართას წინაშე კვირიკემ და მიბნედილის თვალებით გაუღიმა.

— სულ ერთია, ბატონო, მეც ეგ უნდა მეთქვა.—ღიმილითვე უპასუხა მართამ და კისერი მოიღერა. ამ დროს მართა მარილიანის შეხედულობისა იყო და კვირიკეს ხომ ანგელოზად, ცქრიალა ფარვანად მოეჩვენა... ანგელოზობამდის, რასაკვირველია, ბევრი რამ უკლდა მართასა, ცქრიალა იყო თუ არა, ესეც ჩემო, მკითხველო, ჩვენთვის სულ ერთი უნდა იყოს, მაგრამ ყველა ამას ამიტომ მოგახსენებთ, რომ მართას კისრის მოღერებამ ისეთ აღტაცებაში მოიყვანა კვირიკე, რომ თავდაჭერილობას გადააბიჯა და რაღაც ზრდილობიანი კომპლიმენტი უთხრა. მაგრამ რომ ჩაეფუჩეჩებინა მართას სიამოვნების სიწითლე, აჩქარებით დაუმატა.

— უცილებლად, უცილებლად, ბატონო მართა, სრულს ჭეშმარიტებასა ჰბრძანებთ... აბა მაგას რაღა დამტკიცება უნდა. ვინ იქმნება ჩვენში ისეთი აბსკურანტი (გონება დაბნელებული), რომ ქალების უფლება ემანსიპაცია არ აღიაროს? სრულის დაბეჯითებით დააბოლოვა კვირიკემ და მართას კიდევ გაუღიმა. მკითხველები მიხვდებიან, რომ მართასა და კვირიკეს ქალთა უფლების შესახებ ჰქონდათ მასლაათი.

— დიახ, მარტო შენა გრწამს ეგრე! აუმაღლა ხმას მართამ, მერე შეჩერდა, ტუჩები შეათამაშა, წამოწითლდა, თვალები ეშმაკურად გადაატრიალა გადმოატრიალა და კდემა-მოსილებით, სიცილ ქვეშა სთქვა: დასწყევლოს ღმერთმა, კიდევ არ შემეშალა? წარმოიდგინე, ყმაწვილო, თქვენობით ლაპარაკი როგორღაც არ მეხერხება. ალბად იმიტომ, რომ ქართველი ვარ და ქართველებს-კი თქვენობით ლაპარაკი არა გვქონია.

— ეგ კიდევ გადასაწყვეტია, ჩემო ბატონო! ისეთის კილოთი გააწყვეტინა კვირიკემ, თითქოს ამ საკითხავის გადაწყვეტის შემდეგ არც ხვნა უნდოდეს კაცსა და არც თესვა—მაგრამ,—გამოცვლილის ხმით დაუმატა კვირიკემ.—მე დიდათ მოხარული ვარ, რომ თქვენ, უკაცრავათ, შენ... ახლა მეც ასე ვიტყვი... შენობით მელაპარაკებით... თითქოს უფრო ვახლოვდებით... კვლავ მომხიბვლელად ჩაილაპარაკა ვაჟმა და თავი დახარა.

მართა კეკლუცად შეიშმუშნა და აირია... საზოგადოდ, კვირიკეს ისე ეჭირა თავი ყველგან და ყოველთვის, რომ დიდად განათლებულის ყმაწვილის კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, ნამეტნავად ქალებში და ეს უკანასკნელნიც ბედნიერებათ სთვლიდნენ მასთან დაახლოვება-ლაპარაკს. მართალია, საქმის ქალები იყვნენ კვირიკეს ნაცნობი ქალები, როგორც თვით კვირიკე იყო საქმის კაცი—მოწინავე ახალგაზდა,—მაგრამ საქმროს ამორჩევაც ხომ საქმეა და ამიტომ ვერ ვუძრახავთ, რომ როცა-კი ჩვენი მოსაქმე ქალები ერთად შეიკრიბებოდნენ ხოლმე, კვირიკეს შესახებ უფრო ბევრსა ლაპარაკობდენ, ვიდრე საზოგადო საქმის შესახებ... მაგრამ ამ ლაპარაკის განგრძობა არა ჰღირს, მით უფრო, რომ ერთს დროს ჩვენ ქალებს იდეალად ჰქონდათ აღებული სტუდენტებთან დაახლოვება და კვირიკეც იმათში ითვლებოდა...

— მერე, მე რომ ეგრე ვამბობ... გაიმეორა კვირიკემ ხანგრძლივის სიჩუმის შემდეგ, განა რომელიმე განათლებული ყმაწვილი კაცი და ისიც მეცხრამეტე საუკუნის დამლევს, როდესაც ცივილიზაციამ ჩვენ მუშებამდისაც-კი მიაღწია, წინაამდეგი იქმნება ქალების ემანსიპაციისა. არა, ბატონო მართა, ეს წარმოუდგენელია! გადაჭრითა სთქვა კვირიკემ, თუმცა-კი, ჩვენთვის რომ ვსთქვათ, პირველი მოწინაამდეგე გუნებაში თვითვე იყო.

— მილიონობით არიან წინაამდეგნი, მილიონობით! ღიმილით უპასუხა მართამ.

— ჩვენში? კიდევ დაეკითხა კვირიკე.

— დიახ, ჩვენში, ჩვენში და იქნება ჩვენ წევრთა შორისაც... კეკლუცად გაიცინა მართამ.

— მე-კი არა მგონია და! სიტყვას არ უთმობდა კვირიკე.

— შენ უფრო კარგად არ იცი! უადგილოდა და უაზროდ დაეთანხმა მართა და დასძინა: აბა ბატონს ბესარიონსაც შევეხმაუროთ. ეგ რაღას იტყვის. ამ კრებაზედ ახალი კაცია და მაგის აზრიც საინტერესოა. ბესომ თავის სახელის გაგონებაზედ თავი მაღლა ასწია და მობაასეთ შეხედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიერმა ქარმა სულ ერთიანად ძირს ჩამოჰყარა. ასე და ამ გვარად წელს ღვინოც არაფერი მოსვლიათ... სხვა ფრივ აქეთ მშვიდობიანობაა. თუმცაღა ციებ-ცხელება არის აქა-იქ, მაგრამ სიკვდილით-კი ჯერ არვინ არ მომკვდარა.

ამას წინად გწერდით, რომ თეკლათის საზოგადოებაში ადგილ-მამული ჯერ გამიჯნული არ არისო. ამიტომ აქაურმა მემამულეებმა მთავრობას სთხოვეს, რომ მიწის მზომავი კომისია გამოეგზავნათ. კომისია უკვე მოვიდა ასის პირველ რიცხვებში და შეუდგა კიდეც მუშაობას. ამ დროებით ერთის თვით შეჩერებულია ეს მუშაობა, რადგანაც ახლა ყანების მოწევა გაცხარებული. სწორედ დიდი სამადლო საქმეა ამ გვარი შეღავათიანობა ხალხისათვის, რომელსაც მთელის წლის სარჩო საზადებელი მინდვრად აქვს. აქაურები დიდი მადლობელნი არიან ჩვენის მიწის-მზომავის ბ-ნის ლებედევისა...

ტრიფონ კალანდარიშვილი

# რუსეთი

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაამტკიცა წესდება ახალის საზოგადოებისა, რომელსაც საგნადა აქვს მზრუნველობა გაუწიოს ახალგაზდა გასათხოვარ ქალებს პეტერბურგში. საზოგადოება ეცდება დაიცვას გარყვნილობისაგან ღარიბი და ქარხნებში მომუშავე ქალები. ამისათვის საზოგადოება იქირავებს სახლებს, სადაც მათ შეეძლებათ იაფად და კარგი ოთახი იქონიონ, დააარსებს ბიბლიოთეკას, სამკითხველოს და სხვ. ამ ახალ საზოგადოების წევრებად მიიღებენ ყველა წოდებისა და სარწმუნოების ქალებს. წევრები იქმნებიან: ნამდვილნი, ქველმომქმედნი და საპატიო. ნამდვილი წევრები შრომას ეწევიან საზოგადოების წარმატებისთვის, (საწევრო ფულის შეტანა ამათთვის სავალდებულო არ არის), ხოლო ქველ-მომქმედნი წევრნი მოვალენი არიან საზოგადოებას ყოველ წლივ აძლიონ 5 მანათი. რაც შეეხება საპატიო წევრებს, ამათ თვით საზოგადოება აირჩევს, როდესაც ვინმე დიდს სარგებლობას მოუტანს საზოგადოებას.

— გზათა მინისტრი თავ. მ. ი. ხილკოვი საზღვარ გარედ წავიდა და საქმეთა მართვა-გამგეობა დროებით ჩააბარა თვის ამხანაგს ინჟენერ გენერალ-ლეიტენანტს პეტროვს.

— სიმფეროპოლის პოლიცია ამ ჟამად გაფაციცებით დაეძებს ერთს კაცს, რომლის გვარი და სახელი არავინ იცის. გვარი და სახელი-კი ბევრი აქვს კაცსა, მაგრამ ნამდვილი მისი გვარი ვერ შეუტყვიათ. ეს კაცი ამას წინად მისულა სიმფეროპოლში, ცოტა ხანს უცხოვრია აქა, ასე უთქვამს ყველასთვის, გვარად ლიუბომირსკი ვარო, შეურთავს ერთი ახალგაზდა მდიდარი ქალი და მერე უეცრად გაქცეულა ქალაქიდგან. შინ ბარათი დაუგდია—დეპეშა მომივიდა და დღესვე რომ არ წავიდე, არ იქმნებაო. შინ რომ დაბრუნებულა ცოლი, მთელი ოთახი არეულ-დარეული დაჰხვედრია. ფული და ძვირფასი ნივთები რაც ყოფილა სახლში, ქმარს სულ წაუღია, დაუწვავს ცეცხლში თავისი სურათები და რაღაც ქაღალდები. პოლიციამ იპოვნა რამდენიმე პასპორტი ამ სახელებით: ლიუბომირსკი, ტრუშინსკი, ველჩინსკი და სხვ. ეს პასპორტები ყველა ყალბი აღმოჩნდა. სახელმწიფო ბეჭედის მაგიერად ყველაზედ შაურიანის შემწეობით ესვა ბეჭედი. მერე გაიგეს, რომ ამ ველჩინსკისა, თუ ვიღაც არის, კიშინევში ერთი მდიდარი ქალი შეურთავს, გაუძარცვავს და გაქცეულა, მერე კიდევ რამდენსამე ქალაქში შეურთავს ცოლები და ყველანი გაუძარცვავს.

— 3 ოქტომბერს იდღესასწაულა თვისი არსებობის ხუთმეტის წლის თავი პეტერბურგის სტუდენტებისათვის დაარსებულმა კოლეგიამ, რომელსაც სახელად ეწოდება კოლეგია იმპერატორის ალექსანდრე მეორისა. ეს კოლეგია დაარსდა 1882 წელს და მას შემდეგ, 15 წლის განმავლობაში ჰყოლია სულ 1500 სტუდენტი. პირველ წელს კოლეგიაში სცხოვრობდა სულ 60 სტუდენტი. გავიდა 15 წელიწადი და ეხლა ამ კოლეგიაში სცხოვრობს 120 სტუდენტი. ფასი მთელის წლისა მეტად მცირეა, 192 მანათი და ამ მცირე ფასად სტუდენტს ეძლევა საკმაოდ კარგი ოთახი, კარგი საჭმელი, ამასთანავე კოლეგიაზედ ძლიერ ახლო არის უნივერსიტეტი და ლაბორატორია, აქვე არის საკმაოდ კარგი ბიბლიოთეკა (3,000 ტომი), კარგი სამკითხველო, რომელსაც ბევრი რედაქცია უგზავნის მუქთად თავისს გამოცემასა.

# უცხოეთი

—

**ოსმალეთი.** კონსტანტინეპოლიდგან სწერერენ გაზ. Daily Nevs"-ს, რომ ბესსარაში არაბებმა აჯანყება მოახდინესო. მთავრობა ამ ამბავმა ძალიან შეაფიქრიანა. მეამბოხეთა დასაწყნარებლად ერზინგიდგან ჯარი იქმნა გაგზავნილიო.

—

**კრიტა.** „Berliner Tageblatt"-ის სიტყვით, ზოგიერთნი სახელმწიფონი კრიტის დროებით მმართველად ბელგიელ მაიოს ვიტტეს ასახელებენო. ვიტტე წინად კონგოში მსახურებდა და ვაჟკაცობის სახელიც გაითქვაო. საეჭვოა, რომ ყველა სახელმწიფომ განაცხადოს თანხმობა ვიტტეს კანდიდატობაზედ. გერმანია, მაგალითად, როგორც გაზ. „koeln. Zeitung"-ი ამბობს, კრიტის საქმეების შესახებ სულ სხვა აზრისაა. გერმანიის იმპერატორის აზრით, კრიტის მმართველად უეჭველად გამოცდილი, დახელოვნებული და მაგარი ხასიათის კაცი უნდა იყოსო. ასეთ კაცად იმას გოლცი-ფაშა მიაჩნია, რომელიც ოსმალეთის სამსახურშია, ხოლო შთამომავლობით გერმანელიაო.

—

**ამერიკის შეერთებული შტატები და ისპანია.** ისპანიასა და შეერთებულ შტატებს შორის კუბის საქმის გამო გამოწვეულმა დიპლომატიურმა შეტაკებამ, ბისმარკის გაზეთი „Hamb. Nachr."-იც აალაპარაკა. გაზეთი დიდად აღელვებულია ამერიკის სახელმწიფოს საქციელით და ამტკიცებს, რომ თუ ევროპამ ეხლავე ღირსეული პასუხი არ გასცა თავწასულ შტატებს, შემდეგ ევროპის სახელმწიფოებსაც ისევე მოექცევა და ისევე ჩაერევა იმათ შინაურ საქმეში, როგორც დღეს ისპანიის საქმეში ჩაერიაო. „ამის შემდეგ, ამბობს მრისხანედ გაზეთი, ის-ღა გვაკლია, რომ ჩინეთი და იაპონიაც ჩაერიოს ჩვენს საქმეებში და გვიბრძანოს, ესა და ეს შინაური საქმე ისე მოაწყეთ, როგორც მე მეჭაშნიკებაო. რაც უნდა ცუდად ჰმართავდეს ესპანია კუბს, რაც უნდა ძალიან სტანჯავდეს იქაურ მცხოვრებლებს, შეერთებულ შტატებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ ამ საქმეში და ესა თუ ის მიწერილება გაუგზავნონ ესპანიას. შეერთებული შტატების საქციელმა სამართლიანი აღელვება და უკმაყოფილება გამოიწვია ესპანელთა შორის და ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ისინი ღირსეულ პასუხს გასცემენ არამკითხე სახელმწიფოს. შეერთებული შტატების ასეთი საქციელი საწყენოა არა მარტო ესპანიისთვის, არამედ მთლად ევროპისთვის. ჯერ მაგალითი არაყოფილა, რომ სხვა ხმელეთის სახელმწიფო წინ გადაჰღობებოდეს ევროპას და ებრძანებინოს მისთვის ესა და ეს გააკეთეო იმ ევროპისთვის, რომელიც აქამდის ისტორიასა ჰქმნიდა და სხვას უბრძნებდა. ეხლა კი ამ როლს ამერიკის შეერთებული შტატები ჩემულობენ, რომელიც ამ ასის წლის წინად ნადირთა სამეფოს წარმოადგენდა და რომელიც მთლად ევროპის კულტურაზედ აღმოცენდა. ყველა ეს აიხსნება მხოლოდ ევროპის სახელმწიფოთა ურთ-ერთ შორის უთანხმოებით. ამ უთანხმოებამ გააძლიერა და გააბატონა დედამიწის ზურგზედ ინგლისი და ეხლა იგივე უთანხმოება ხელს უწყობს ამერიკის შეერთებულს შტატებს. ამერიკას თუმცა ჯარი არა ჰყავს, მაგრამ ევროპისა მაინც არ ეშინიან, დარწმუნებულია, რომ ევროპა შინაურ მტრობაზედ ვერასოდეს ვერ აიღებს ხელს და ამერიკისთვის ვერ მოიცლის. ხოლო ეხლა თუ ესე იქცევა ამერიკა, შემდეგ უფრო უარესად მოიქცევა, იგი ჩქარის ნაბიჯით მიდის განათლების გზაზედ და მალე ევროპასაც გაუსწრობს. აი, ამიტომ საჭიროა, ევროპამ ეხლავე იფიქროს და ფრთები შეაკვეცოს ამერიკის სიძლიერესა და სიყოყოჩეს. ევროპამ შინაურს მტრობას თავი უნდა დაანებოს, მხოლოდ ამერიკის ფიქრში-ღა იყოს, თორემ დიდს განსაცდელში ჩავარდება და მერე სინანული საქმეს ველარაფერს უშველის. ამერიკა არამც თუ პოლიტიკურად უსწრობს ევროპას, არამედ ეკონომიურადაც. ჯერ ეხლავე ევროპის ბაზარი ამერიკის ნაწარმოებითაა სავსე, ხოლო შემდეგ მთლად გამეფდება იგი და სხვა სახელმწიფოთა ნაწარმოებს სულ აღარ გააჭაჭანებს".

# დამაკვირდი

ბუნება რომ ადამიანის ჩამომავლობისა ყოფილიყო, დიდი მოქრთამე იქნებოდა.

***

კაცს სახელ-წოდება „ადამიანი" მის ადამიანურ ღირსებათა გამო რომ ეძლეოდეს, ადამიანი დიოგენის ფარნით სამებნელი გახდებოდა.

***

ზომიერნი რომ ვიყვნეთ ყოველ მხრივ, ამ ქვეყნის ტანჯვა-ვაება ერთი ათად შემცირდებოდა.

?!

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ ჟამად ბევრი მეცნიერი და არა მეცნიერი სცდილობს ჰაერში საფრენი მანქანა გამოიგონონ. ზოგი მათგანი ამტკიცებს, ერთად-ერთი საშუალება ჰაერში ფრენისა ჰაეროსტატი არისო, საჭიროა მხოლოდ ამ ჰაეროსტატს ისეთი მანქანა მივუმატოთ, რომ ადამიანს, საითაც მოისურვებს, იქით შეეძლოს წასვლაო. ზოგი-კი ამბობს, ჰაეროსტატით ვერაფერს გავხდებით, ისევ ჰაეროპლანი სჯობიაო, ანუ ისეთი მანქანა, ფრინველის მზგავსი, რომელიც ჰაერზედ მძიმეა. ეხლა მთელმა ქვეყანამ დიდი ყურადღება მიაქცია ჰაეროპლანებს, რადგანაც თითო-ოროლა ასეთი მანქანა უკვე გააკეთეს პროფესორმა ლენგლიმ, მაქსიმმა და სხვებმა. რაც შეეხება ჰაეროსტატებს, პროფესორმა მენდელეევმა სთქვა, რომ „ჰაეროსტატი უფრო ნაკლებად არის საშიშო, ვიდრე ფრინველის მზგავსი მანქანა და იმედია, რომ ჰაეროსტატი გაიმარჯვებს კიდეცაო".

ისეთი ჰაეროსტატი, რომელსაც უნდა შესძლებოდა ფრენა, საითაც ადამიანი მოისურვებდა, შეადგინა გენერალმა მუსნერმა. ეს პროექტი დაწვრილებით იყო გამოანგარიშებული, მაგრამ გენერალმა მაინც ვერ გააკეთა ისეთი ჰაეროსტატი, როგორიც უნდოდა, რადგანაც ამ საქმისათვის მუსნერს საკმაო ფული არა ჰქონდა. ეს იყო მეთვრამეტე საუკუნის დამლევს. იმ დროს არც ორთქლის ძალა იყო ჯერ გამოგონილი და არც ელექტრონისა. მუსნერის პროექტით

---

— აბა, თქვენ რა აზრისა ხართ, ბატონო ბესარიონ, ჩვენის საკითხავის შესახებ?—მიჰმართა კვირიკემ ბესარიონს, ისეთის ჩავარდნილის ხმით, თითქოს მაღლიდგან დაბლა ჩამოვიდაო. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ კვირიკე მეტის-მეტის დაბალის ხმით, დინჯად ელაპარაკებოდა ხოლმე ყმაწვილ-კაცებს. (მარტო ვაჟებს, ნუ დაივიწყებთ) და თუმცა უგემური, წიწინა ხმა ჰქონდა ჩვენ კვირიკეს, მაგრამ იმდენ გაუგებარსა და პტყელ-პტყელს სიტყვა-ფრაზებსა ჰხმარობდა, რომ მსმენელებს თავ-ბრუს ასხამდა. ვილას ახსოვდა მისი ხმა! ყველანი, ნამეტნავად ქალები, გაკვირვებაში მოდიოდნენ კვირიკეს განვითარება-მჭერ-მეტყველობით!.. ასეთი სიტყვები, როგორც მაგალითად, ასოციაცია, ექპროპრიაცია, ემოცია, კლასიფიკაცია, კვინტესენცია და სხვა ციები ასობით დაითვლებოდა თითოეულ მის გრძელ სიტყვაში. ხშირად უყვარდა აგრეთვე სიტყვის „აბსკურანტის" ხმარება, კიდევ ფრანგულის ანდაზებისა და სიტყვებისა, კიდევ... მაგრამ ვინ მოსთვლის? მგონი ამითიც თავი მოგაბეზრე, ჩემო მკითხველო. შეიძლება ოდესმე შენ თითონვე შეხვდეს კვირიკე და მაშინ გაიგებ რაებიც იცის... იმასკი ნუ დაივიწყებ, რომ კვირიკეს ერთი ახირებული ჩვეულებაცა აქვს: როცა ლაპარაკობს, ისეთ გამომეტყველებას მიიღებს ხოლმე, თითქო იმას გეუბნება: ,,მე ნუ მეხუმრები! მე... მე... კვირიკე ამაყიშვილი ვარ, რუსეთ-საფრანგეთ მოვლილიო". აი ახლაც ისეთის თვალით შეხედა ბესარიონ ცერცვაძეს, რომ ნათლად აღმოიკითხავდით: ,,ვერა ჰხედავ, რა თავ-მდაბალი ვარ, შენთვისაც-კი მოვიცალეო!" ბესო მიუხვდა და აიმრიზა.

ორისა თუ სამის წამის განმავლობაში სიჩუმე ჩამოვარდა. კვირიკე ჰფიქრობდა: „რას იბღვირება ეს ყმაწვილი, სემინარიელი თუ არისო". ბესო-კი იძახდა: „ეს კაცი თავ-მოყვარებით იქნება დასნეულებულიო." მაგრამ დრო იყო ეპასუხნა:

— აბა რა მოგახსენოთ, ნაწყვეტნაწყვეტად უპასუხა ბესარიონმა, მე თქვენის ლაპარაკისათვის ყური არ მიგდია. მგონია შინაურ საქმეებზედ ჰლაპარაკობდით.

— სრულიადაც არა, ყმაწვილო კაცო, ჩვენ საზოგადოდ ვლაპარაკობდით და მერე ისეთ საზოგადო საკითხავზედ, როგორიც არის ქალების ემანსიპაცია. წარბებ-შეკვრით განიმეორა კვირიკემ.

— ვერაფერს მოგახსენებთ, ჩემო ბატონო, ვიდრე თქვენ საბუთებს არ მოვისმენ! უკმეხად უთხრა ბესომ და თითონაც კოპები შეიკრა. ეს რაღა უკანა მამიშვილი იყო, თუ იცით?!...

— მაგას რა არგუმენტაციები-ღა უნდა, ეს ისეთი თვალ-საჩინო საგანია, როგორც მზე და მთვარე. თქვენზედ ნუკი მიიღებთ და მარტო გონებით განუვითარებელი მოითხოვს ათასჯერ და ათი ათასჯერ დაღეჭილ საბუთებსა... როგორც ვხედავ, თქვენ ჯონ სტიუარტ მილისა ან ბოკლის თხზულებანი არ წაგიკითხავთ, არ გაგიცვნიათ ქალების შესახები მწერლობა, თორემ.. დოლმატიურის კილოთი დაიწყო კვირიკემ. კვირიკესა და ბესარიონის შორის ერთი ალიაქოთი მოხდებოდა, რომ უცბად კარები არ გაღებულიყო და გატკრციალებული ტასო არ შემოვარდნილიყო.

— უჰ, დედავ, როგორ დავიღალე, სირბილით მოვკვდი... მე ვთქვი და მიგვიანდა მეთქი დ აქ კი... ზედი ზედ წამოიძახა ტასომ, განცვიფრებით მიმოიხედა ოთახში და იქ მყოფთ ხელი ჩამოართვა.

— იქნება დაავიწყდათ წევრებს, რომ კრება გვაქვს? სიტყვა ჩაურთო ბესომ.

— რა უბედურებაა, ღმერთმანი, ლამის-კი გაგვათენებინონ და! დაუმატა ისევ ტასომ.

იქნება დაიძინეს კიდეც. დაცინვით ჩაილაპარაკა კვირიკემ.

ამ ხმაურობაში აივნიდგანაც შემოვიდა რამდენიმე ყმაწვილი, ორი თუ სამი სხვა ახალი წევრიც მოემატათ. მცირეოდენი ლაპარაკისა და სალამ-ქალამის შემდეგ, ქალები კვირიკეს შემოეხვივნენ. ვაჟები ჯგუფ-ჯგუფად გასხდენ განზედ და სხვა-და-სხვა ლაპარაკი დაიწყეს: იცინოდნენ, ჰორაობდნენ, ერთმანეთს ჭკუას არიგებდნენ... არ ვიცი ყოფილხართ თუ არა ჩვენებურ კრებაზე, ხოლო თუ ყოფილხართ, გეცოდინებათ, რომ ვიდრე წევრების საკმაო რიცხვი არ შეიკრიბება, კრების საგანს რიგიანად ვერც კი გაიგებთ. ამიტომ საათს ხშირად უცქერით, ოხრავთ, მოუსვენარადა ხართ, ხუთის წუთის განმავლობაში ათჯერ მაინც გადასთვლით წევრებსა და თვალი და ყური სულ კარებისკენ გიჭირავთ. ასე მოსდიოდა ბესო ცერცვაძესაც. იგი ახალი კაცი იყო კრებაზედ და მგონი ყველაზედ მოუსვენრათაც ის იყო. ხან ერთს ჯგუფთან მიდიოდა, ხან მეორესთან, ყველას ყურს უგდებდა, ყველას ათვალიერებდა. ბოლოს ერთ ჯგუფში ჩაება და მათ ლაპარაკს ბანი მისცა.

(შემდეგი იქნება)

ჰაეროსტატს უნდა ევლო ნიჩბების შემწეობით, ხოლო ეს ნიჩბები თითონ ადამიანს უნდა ემოძრავებინა ხელით.

მეხანიკოსმა ჟიფფორსმა ჰაეროსტატს გაუკეთა ისეთი მანქანა, რომელიც ჰაეროსტატს ამოძრავებდა ორთქლის ძალით. ჟიფფორსი სამის წლის განმავლობაში ორჯერ გაფრინდა ჰაეროსტატით და მესამედ-კი დაიღუპა. ჰაეროსტატს რაღაცა გაუფუჭდა და ჟიფფორსი ძირს ჩამოვარდა.

მეორე ასეთი ჰაეროსტატი გააკეთა დიუპუი-დე-ლომმა 1870 წელს. მაგრამ არც ეს ჰაეროსტატი გამოდგა ისეთი, როგორიც სასურველი იყო.

ამაზე უკეთესი ჰაეროსტატი გააკეთა ტირონდიემ.

ხოლო ამ ბოლო დროს საუკეთესო მანქანა გააკეთეს ძმებმა რენარებმა. ეს ჰაეროსტატი იქით მიდიოდა ჰაერში, საითაც-კი მოისურვებდა ადამიანი. პირველად ძმები რენარები ჰაერში აფრინდნენ 1884 წელს 9 აგვისტოს. აი რასა სწერს თვით რენარი ამ ამბის შესახებ:

„საკმაოდ ავსცილდით თუ არა მაღალს მთას, მანქანამ მოძრაობა დაიწყო და სიამოვნებით დავრწმუნდით, რომ ჰაეროსტატი გვემორჩილება და იქითკენ მიფრინავს, საითაც მოვისურვებდით. ჰაეროსტატი ისე წყნარადა და დინჯად მიფრინავდა ჰაერში, როგორც ნავი დადის ტბაზედ. მიუხედავად იმისა, ჩვენ მაინც დავეშურეთ უკან დაბრუნებას. თუმცა ნათლადა ვხედავდით, რომ საითაც გვინდოდა, იქით მივფრინავდით, მაგრამ მაინც არა გვჯეროდა ეს და უკან დავბრუდით, დაუპირდაპირდით თუ არა იმ ადგილს, საიდგანაც ავფრინდით, გამოვუშვით გაზი ჰაეროსტატიდგან და მშვიდობიანად დავეშვით დედამიწაზედ.

ამ ჰაეროსტატს სახელად ერქვა „საფრანგეთი“. ძმათა რენარების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, ასე ეგონათ, ეს არის გამოვიგონეთ ისეთი მანქანა, რომლის შემწეობითაც შეიძლება ადამიანმა ჰაერში თავისუფლად იფრინოსო. მაგრამ მალე აღმოჩნდა, რომ ასეთი მანქანა ჯერ არა კმარა. ამ ჰაეროსტატს მხოლოდ მაშინ შეეძლო ჰაერში თავისუფლად ფრენა, თუ ქარი ან სრულებით არ იყო, ან ძლიერ პატარა იყო. ხოლო დიდ ქარში-კი ჰაეროსტატმა სიარული ვერ შესძლო და ქარს მიჰქონდა. შემდეგ მცოდნე კაცებმა გამოიკვლიეს და დაადგინეს: 1) თუ გვინდა, რომ ქარმა ვერაფერი დააკლოს ჰაეროსტატს, ისეთი მანქანა უნდა გავუკეთოთ, რომ ქარზე სწრაფად შეეძლოს სიარული. 2) ისეთი მანქანა უნდა გაკეთდეს, რომ რაც შეიძლება სუბუქი იყოს და ამავე დროს, რაც შეიძლება, მეტი ძალა ჰქონდესო.

ამ ჟამად მრავალ ადგილას აკეთებენ ჰაერში საფრენ მანქანებსა, როგორც ჰაეროსტატებს, ისე ჰაეროპლანებსაც და იმედი აქვთ, რომ ერთ-ერთი მაინც კარგი გამოდგებაო.

---

## საწყობები, თუ „შუამავალის“ მაღაზია და საყასბო?

(„ივერიის“ მე-172 №-ში მოთავსებული ფელეტონის გამო).

(შემდეგი *)

როგორც ზევითა ვთქვი, არც ერთ წერილში არ მომიხსენებია აწ არსებული „შუამავალი“ ურიგოდ, წინაალმდეგ, დიდის პატივით ვიხსენიებდი. აი პირველს წერილში რას ვამბობ „შუამავალის“ შესახებ: „დღეს ტფილისის ახლად დაწესებულს „შუამავალზედ“ ყველას ყურადღებაა მიქცეული. მისი წარმატება მეტად სანუკარია. ის უნდა შეიქმნეს მშობელ დედად სამაზრო მგზავს დაწესებულებათა. რასაკვირველია, „შუამავალის“ აწინდელი მაღაზია ძალიან უნდა გაიზარდოს, საქონლის დიდი საწყობები უნდა იქონიოს, რომ ასე დაფეხმძიმებულმა სალად მშობიარობა აიტანოს, სალი დაწესებულებანი დაეარსოს. თვით „შუამავალს“ ჯერ ბევრნაირი განყოფილება აკლია, თუმცა მე იმ აზრისა ვარ, რომ ყველა განყოფილების გახსნა ერთის დაწესებულებისთვის, ყველანაირი სავაჭრო საქონლის ქონა ერთნაირი სიმარჯვით ძნელად განსახორციელებელია. საწვრიმალოსთან ადვილია საგოსტრონომო, საყასბო, სამიკიტნო, საბაყლე, საალაფო და სამეურნეო სავაჭრო საგნების მოთავსება; ხოლო ამასთანავე საბაზაზო, საგალანტერეინო და სამკერვალო სავაჭრო საგნები სულ სხვა წყობის საგნებს შეადგენენ, სხვა დაკვირვებას და ცოდნას მოითხოვენ და ამ ორი ჯგუფი საგნების ერთად, ერთის გამგეობის ხელში თავ-მოყრამ, მგონია, საქმის სიმარჯვით მსვლელობას დაუშალოს, თუ „შუამავალი“ ზემორე ჩამოთვლილ სავაჭრო საგნებს იქონიებს, მარტო იმ საგნების განყოფილებებს, რომლების ერთად მოთავსება სამარჯოა და თუ იქამდის გაიზრდება, რომ თვითეული განყოფილებისათვის საწყობსაც იქონიებს, რომელთაგან ვაჭრობას ფეხზედ ვაჭრობის ხასიათს მისცემს, ვგონებ, იმოდენა საქმე იქმნება, რომელსაც დამატება აღარაფრისა არ მოუნდება. ამნაირად ის უნდა შეიქმნას მშობელ დედად სამაზრო სავაჭრო დაწესებულებათა“. მეორე წერილში ის აზრია გამოთქმული, რომ „შუამავალმა“ აძლიოს პროვინციაში გახსნილ სავაჭრო ამხანაგობებს თავისის საწყობებიდგან, რომლებიც ჯერ „შუამავალს“ არა აქვს, სავაჭრო საქონელი და თუ „შუამავალი“ ვერ შესძლებს ამას, უნდა ამისთანა დაწესებულება უეჭველად იყოს ტფილისში. „რომ ერთი უსაჭიროესი პირობა პროვინციაში სავაჭრო ამხანაგობათა აღორძინებისა არის ტფილისში იმისთანა დაწესებულება, „შუამავალი“ იქნება იგი თუ სხვა, რომელმაც ასაზრდოვოს პროვინციის სავაჭრო ამხანაგობანი“. მესამე წერილში არის იმაზედ ლაპარაკი, თუ რომელი დარგის სავაჭრო საგნებით უნდა დაიწყოს ახლად გახსნილმა ამხანაგობამ ვაჭრობა. ნათქვამია, რომ პროვინციაში პირველად ყოვლისა საფართლო და მცირე რამ საწვრილმანო საგნებით უნდა დაიწყოს ვაჭრობა. ნათქვამია, რომ სავაჭრო საგნების არჩევაში უნდა სახეში ჰქონდეს საქმის დამწყობს, რომელს სავაჭრო საგნებში უფრო დიდ მოგებას იღებენ კერძო მოვაჭრენი“. მეორე წერილში ნათლად არის ნაჩვენები, რამდენად, როგორი და როგორ უნდა მიიღოს მონაწილეობა „შუამავალმა“ პროვინციის სავაჭრო ამხანაგობათა დაარსებასა და ვაჭრობაში. ჩვენ ამ ორ წერილს ვერ ამოვწერთ, რადგანაც დიდ ადგილს მოითხოვს, ხოლო მსურველო, შეუძლიანთ „ცნ. ფურცლის“ მე-221 და 237 №№-ში აღმოიკითხონ.

რადგანაც აწ არსებულის „შუამავალის“ მაღაზიას, რომელიც აკმაყოფილებს ტფილისის მხმარებელს და მარტო ტფილისის მხმარებელს, არა აქვს საწყობები, ამიტომ საჭიროდ დავინახეთ საწყობების გამართვა. ეს საწყობები შუამავალთან გაიმართება, თუ ცალკე, სულ ერთია, პროვინციისათვის საჭიროებას ის საწყობები შეადგენს, რომლის ნასახიც არ არის დღეს, და არა აწინდელი მაღაზია „შუამავალისა“ და მომავალი მისივე საყასბო.

ჩვენ სახეში გვაქვს ის მაღაზია, რომელიც უკვე არსებობს და ბ-ნი ერთი მოწილეთაგანი-კი წესდებაზედ გვითითებს. წესდებაში ყველაფერია: ისიც, რაც დააკმაყოფილებს ადგილობრივს ტფილელს მხმარებელს, და ისიც, რაც საჭიროა პროვინციისათვის, ხოლო ნამდვილად ჯერ პირველიც არ არის შესრულებული და მეორის შესრულების გამო ხომ აღძრულია მარტო ლაპარაკი. საქმე ის არის, რომ წესდება და თვით საქმე შორი-შორს ამბავია. მართალია, ერთი მოწილეთაგანი ამბობს დიდის დაბეჯითებით: „ჩვენ დავბადეთ ეს საქმეო“. და ამასთან წესდების უცოდინრობასა მწამებს, მაგრამ დავარწმუნებ პატივცემულს ერთ მოწილეთაგანს, რომ იმ წესდებას მე ხოჰქშივე ვიცნობდი და იმისს მშობელსაც, ჯერ ისევ ლოგინად მყოფს, არა ერთხელ მოვუყვანივარ აღტაცებაში მაგ შუამავალზედ კითხვა-ლაპარაკით თვისის საკუთარის სახლის ერდოზედ. იმას აზრადა ჰქონდა საქმის დაწყების საწყობებიდამ და მერე თვით ტფილისის მხმარებლისათვის ზრუნვა, ე. ი. ჯერ საწყობების გამართვა, რომლებსაც სოვდაგრული ვაჭრობა ჰქონოდათ, და მერე იქიდამვე მაღაზიების დაჰმართვა ტფილისის მხმარებელთათვის. იქიდამვე ისაზრდოვებენ პროვინციის სავაჭრო ამხანაგობანი და თვით პროვინციის ამხანაგობანი, სამაგიეროდ, იმავე საწყობებს ასაზრდოვებენ ადგილობრივის ნაწარმოებებიო, ამბობდა იგი. აი, ეს გახლავთ დედა აზრი წესდების პირველად შემდგენელისა. რამდენადაც განხორციელებულია იგი, თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, ბ-ნო მკითხველო.

ნადიკვრელი

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ № 208.

---

## მცირე შენიშვნა

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამ წლის „ივერიის“ მე-185 №-ში დასტამბული იყო სიმართლეს მოკლებული წერილი, ქუთაისის საპედაგოგიო კურსების გამო. ამ წერილს, მისი ავტორი ბ-ნი კნინი, ძვირფასის მარგალიტებით ათავებს, რომელსაც მიძღვნის მე. სხვათა შორის, კნინი ჰბრძანებს: „ერთ-ორხელ ბედნიერ გვყო მობძანებითა თვისითა, ორის გაკვეთილის მიცემის ნება იშოვა, შემდეგ დაბრუნდა ალისუბანში და თავის თავს თითონვე შესძღნა დიფირამბები და საქებარი აქანისტოები“. ბ-ნი კნინი სცდილობს მკითხველ საზოგადოებას შავი თეთრად აჩვენოს და თეთრი შავად. სამაგალითო გაკვეთილების მიცემის ნება მე არც არავისათვის მითხოვნია და არც ვსაჭიროებდი ამას. სამაგალითო გაკვეთილები მივეცი იმერეთის საეპარქიო სამრევლო სკოლების მეთვალყურის მღვდლის მ. მელიტონ კელენჯერიძის წინადადებისამებრ, რასაც აშკარად დაამოწმებს მათი მაღალ-კურთხევა. სწორედ საკვირველია, რისთვის დასჭირდა ბ-ნ კნინს ჩემი ჩირქის მოცხება! თითონვე ჰბრძანებს, ორმოც-და-ერთი დღე კურსების თანა-მაჩანჩალა გახლდიო, ღმერთო თუ ამ ხნის განმავლობაში ერხელ მაინც ვერ დახედა კედელზედ გაკრულ წეს-რიგს, თუ ვინ, ან როდის და ვისის განკარგულებით აძლევდა სამაგალითო გაკვეთილებს?!

რაც შეეხება ჩემი თავის ქებას, რომელსაც კნინი მაწერს, არ მესმის საიდგან მოელანდა ესა. ჩემს წერილში მე კრინტიც არ დამიძრავს ჩემის თავის ქებისა. ან რა იყო საქებარი. სამაგალითო გაკვეთილების მიცემა ქება-დიდებას შეადგენს? სრულიადაც არა. ამისთანა მცირე რამე ქება-დიდებად რომ მიმეღო, ჩემის რვა წლის მასწავლებლობის განმავლობაში ბევრჯელ მქონდა შემთხვევა ჩემი გვარი გამომემჟღავნებაისა, მაგრამ ყოველთვის შორს ვიდექი ამისთანა აზრებისაგან და ახლაც ამ გზას ვადგივარ. თუ იმასა ბრძანებს ბ-ნი კნინი, თავისი სახელი და გვარი რად მოაწერაო, სწორედ შემცდარი ბრძანებულა. ღობე-ყორეს ამოფარებული არც დიდება და ქება ვარგა კაცისა და არც, რასაკვირველია, ლანძღვა და ცილის წამება. ამას ვგონებ დიდი დამტკიცება აღარ სჭირდება. რაც შეეხება ჩემი სასამაგალითო გაკვეთილებისაგან სამაგალითოდ მოსწავლეების დაფრთხობას, ეს ისე მართალია, როგორც ჩემ მიერ სამაგალითო გაკვეთილების მიცემის ნების შოვნა და ამას გარდა ჩემთვის სრულიად საწყენი არ არის. მხოლოდ იმას-კი ვურჩევდი კნინს, რომ ჩემი სამაგალითო გაკვეთილების მასალა აეღო და კრიტიკულად გაერჩია მთელი ჩემი გაკვეთილი და არა ორიოდე ლიტონის სიტყვით გადაეწყვიტა მისი ბედი და იღბალი; ასე რომ მოქცეულიყო, მაშინ ყველანი დავინახავდით, რამდენად მართალი და საფუძვლიანი იქნებოდა მისი მსჯელობა.

დასასრულ იმას ვიტყვი, რომ ბ-ნ მიქაძის ვექილს კნინს მითი მოსწონებია თავის მარწმუნებელის გაკვეთილები, რომ ბავშვებს ლოყა ვარდის ფრად უყვავოდაო. კარგი და პატიოსანი, მაგრამ ნუ თუ გაკვეთილის უმთავრესს ღირსებას ბავშვების ლოყების ვარდის ფრად აყვავება შეადგენს? სრულიადაც არა. სკოლებში ბავშვების თამაშობისათვის სხვა დროა დანიშნული და გაკვეთილებისათვის სულ სხვა. ბ ნმა კნინმა თუ ეს არ იცის, გულწრფელად ვურჩევ: ლანძღვა-გინებას თავი დაანებოს და პედაგოგიკის ანბანის შესწავლასა და ბავშვების სწავლა-აღზრდის საქმეს ერთგულად მოჰკიდოს ხელი.

მ. ბუაჩიძე

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 ოქტომბერი.

**პეტერბურგი.** უმართებულესმა სენატმა უკვე გამოაცხადა წესები იმის შესახებ, თუ ფაბრიკებსა და ქარხნებში რამდენს ხანს უნდა იმუშაონ მუშებმა და აგრეთვე წესები ზედამხედველ მოხელეთათვის ამ საგნის შესახებ.

**დარმშტადტი.** მათნი უდიდებულესობანი ჰესენის დიდის ჰერცოგითა და ჰერცოგის მეუღლითურთ კობურგიდგან დაბრუნდნენ.

**კონსტანტინეპოლი.** სამხედრო აგენტები წავიდნენ თესალიის საზღვარზედ მისდა შესასწორებლად.

**ვენა.** „Politiche corresp.“ სწერს სულთანმა მიანდო თავის წარმომადგენლებს საიდუმლოდ შემიტყეთ როგორ მიეგებებიან დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენლები ჩემს იმის შესახებს წინადადებას, რომ დროებით კრიტის გუბერნატორად კამჰგონ-ფაშა იქმნას დანიშნულიო. დიდთა სახელმწიფოთა უმეტესობა არ დაეთანხმება ამ წინადადებას.

**სოფია.** საერო კრება 15 ოქტომბრისათვის უნდა იქმნას მოწვეული.

**ბელგრადი.** 7 ოქტომბერს, შუადღისას. სიმიჩმა მეფეს თხოვნა მიართვა კაბინეტის სამსახურიდამ გადადგომის შესახებ.

**სიმლა.** გენერალ ვიქსას რაზმი გუშინ მთელ დღეს ებრძოდა ადგილობრივ მკვიდრთ საანის მთებში, 11 მოკლულია და 53 დაჭრილი.

**პარიჟი.** 7 ოქტომბერს პალატის კრებანი დაიწყო.

---


# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება . . | 8 | „ |
| იგივე ფრანგულად ნათარგმნი ბროსეს მიერ . | 8 | 20 |
| ქართლის ცხოვრება 1 წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ნ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . . | „ | 30 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი . . . . - | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| თამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVШ ст., его-же . . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же. . . . | „ | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили. . . . | | 60 |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . | 3 | |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . . | 7 | 50 |
| Завѣщаніе царя Давида Возобновителя Θ. Жорданія. . | | 30 |


Дозволено цензурою, Тифлисъ 8-го Октября 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.